დაუჯდომელი

იტირე სულო

ლოცვითა წმიდათა მამათა ჩვენთათა, უფალო იესო ქრისტე, ღმერთო ჩვენო, შეგვიწყალენ ჩვენ. ამინ.

დიდება შენდა, ღმერთო ჩვენო, დიდება შენდა!

მეუფეო ზეცათაო, ნუგეშინისმცემელო, სულო ჭეშმარიტებისაო, რომელი ყოველგან ხარ და ყოველსავე აღავსებ მადლითა შენითა; საუნჯეო კეთილთაო, მომნიჭებელო ცხოვრებისაო, მოვედ და დაემკვიდრე ჩვენ შორის, და წმიდა მყვენ ჩვენ ყოვლისაგან ბიწისა, და აცხოვნენ, სახიერო, სულნი ჩვენნი.

წმიდაო ღმერთო, წმიდაო ძლიერო, წმიდაო უკვდავო შეგვიწყალენ ჩვენ (3-ჯერ).

დიდება მამასა და ძესა და წმიდასა სულსა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

ყოვლადწმიდაო სამებაო, შეგვიწყალენ ჩვენ; უფალო გვიხსენ და გვილხინე ცოდვათა ჩვენთაგან: მეუფეო, შეგვინდევ უსჯულოებანი ჩვენნი; წმიდაო, მოიხილე და განჰკურნენ უძლურებანი ჩვენნი, სახელისა შენისათვის.

უფალო შეგვიწყალენ (3-ჯერ).

დიდება აწ და.

მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა, წმიდა იყავნ სახელი შენი, მოვედინ სუფევა შენი, იყავნ ნება შენი, ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქვეყანასა ზედა, პური ჩვენი არსობისა მომეც ჩვენ დღეს, და მომიტევენ ჩვენ თანანადებნი ჩვენნი, ვითარცა ჩვენ მიუტევებთ თანამდებთა მათ ჩვენთა, და ნუ შემიყვანებ ჩვენ განსაცდელსა, არამედ მიხსენ ჩვენ ბოროტისაგან. ამინ.

კონდაკი 1

მეუფეო წმიდაო და უფალო, ღმერთო ჩემო, მამაო ჩუენო ზეციურო, სულგრძელო და მრავალმოწყალეო, გევედრები შენ, წინაშე ყოვლადწმიდისა ხატისა ძისა შენისა, ცრემლთა მიერ სინანულისათა, და სიღრმითგან საარებულისა და მრავალთა მიერ ცოდვათა ჩემთა შემწიკულებულისა სულისა ჩემისა და გულითა მწუხარითა, შენ, უფალო, მაცხოვარო ჩემო, შემეწიე განბანად ცოდვილისა სულისა ჩემისა ცრემლითა მიერ სინანულისაÎთა!

იკოსი 1

შემოქმედო ანგელოსთაო და ყოვლისა ხილულისა და უხილავისაო, მომცემელო ჩუენდა ცხორებისაო, შენ შეგივრდები ლოცვითა და ვედრებითა შენდობისათვის ცოდვათა ჩემთა, ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, შეისმინე ლოცვაÎ და გოდებაÎ სულისა ჩემისაÎ და მიხსენ მე! დაფლულ ვარ ყოვლითურთ ცოდვათა შინა, უძლურებათა შინა მყოფ არს სული ჩემი, და გული ბოროტთა მიერ განზრახვათა სავსე არს. ვითარცა ქსელითა დედაზარდლისათა გარემოცულ არს სულთა მიერ ბოროტთა ყოველი არსებაÎ ჩემი. იტირე, სულო ჩემო, და ჰგოდებდე, და მწუხარებითა

ღაღად-ჰყავ უფლისა მიმართ ღმრთისა ჩემისა; ღმერთო, მაცხოვარო ჩემო, შემეწიე განბანად ცოდვილისა სულისა ჩემისა ცრემლთა მიერ სინანულისაÎთა!

კონდაკი 2

იესო, ყოვლად-მოწყალეო, შემეწიე მე, და ღირს მყავ დაუსჯელად აღვლენად ლოცვისა ჩემისა შენდა, განახუენ ბაგენი ჩემნი, და გული ჩემი განწმინდენ ბოროტთაგან ზრახვათა, რათა სიხარულითა გიღაღადებდე შენ: ალილუია.

იკოსი 2

იესო, ძეო ღმრთისაო, შემინდევ და შემიწყალე მე უძღები ესე. იესო ძეო ღმრთისაო, შემიწყალე მე, მავალი ბნელსა შინა, და ვერ მხილველი ნათლისა ჭეშმარიტებისა. იესო, მაცხოვარო ჩემი, შემიწყალე მე დამარღვეველი მცნებათა შენთა. იესო, მწყემსო ჩემო ყოვლად კეთილო მიხსენ მე, რომელმან ყოველი ცხორებაÎ ჩემი წარვაგე უდებებასა და ცოდვათა შინა. იესო, ძეო ღმრთისაო, მიხსენ მე, რამეთუ ამაოებათა შინა ქვეყნიურთასა დაინთქა სრულიად გული ჩემი. იესო, ყოვლადმოწყალეო, შემიწყალე მე, დანთქმული მზაკვართა და ბოროტთა განზრახვათა შინა. ღმერთო გულისა ჩემისაო, შეისმინე ჩემი, რომელი ვღაღადებ შენდა: ღმერთო, მაცხოვარო ჩემო, შემეწიე განბანად ცოდვილისა სულისა ჩემისა ცრემლთა მიერ სინანულისაÎთა!

კონდაკი 3

იესო, ძეო ღმრთისაო, მიბოძე მე ძალაÎ მადლმოსილი, რაÎთა არა მეშინოდეს საქმისაგან ბოროტისა ამის ცხორებისაÎსა. სინანულითა და სიმდაბლითა მიჰყვებოდე გზასა შენსა და ვღაღადებდე შენდა მომართ: ალილუია.

იკოსი 3

უფალო, ღმერთო ჩემო, ვუწყი, რამეთუ საქმეთა მიერ სარცხვინოთა შევამწიკულე სული ჩემი, ამაოებათა მიერ დაბნელებული. და ვითარცა ურძანე ბრმასა აღხილვაÎ თუალთაÎ, შემეწიე მეცა აღხილვად ცოდვათაგან ჩემთა, რაÎთა ვიხილო სიბრძნე დიდებისა შენისაÎ. ღმერთო ჩემო მოწყალეო, შენ ჰრეკ კართა ზედა ტაძრისა შემწიკულებულისა გულისა ჩემისასა, შემეწიე რაÎთა განვუღო იგი ხმასა შენსა განწმედად ჩემდა ცრემლთა მიერ სინანულისაÎთა. ღმერთო, მაცხოვარო ჩემო, იხილე უძლურებაÎ ჩემი და მომიტევენ ყოველი უსჯულოებაÎ ჩემი. ღმერთო, ღმერთო მაცხოვარო, მზეო წმიდაო, განმანათლებელო მოწყალებითა შენითა ჩვენ ცოდვილთასა, შეისმინე ხმისა ჩემისაÎ, ღმერთო, მაცხოვარო ჩემო შემეწიე განბანად ცოდვილისა სულისა ჩემისა ცრემლთა მიერ სინანულისაÎთა.

კონდაკი 4

აჰა, მოვალ შენდა იესო, ძეო ღმრთისაო და, შევრდომილი წინაშე ხატისა შენისა წმიდისა, ვადიდებ სულგრძელებასა შენსა რომელსა ჰყოფ ჩემდა მომართ ცოდვილისა, მგალობელი შენდა გალობისა ქებისასა: ალილუია.

იკოსი 4

ღმერთო, მამაო ჩუენო მოწყალეო, მე მხოლომან ვცოდე წინაშე შენსა, არა ღირს ვარ აღხილვად სიმაღლედ მიმართ დიდებისა შენისასა; სულო ჩემო, რაÎსათვის გძინავს, რაÎსათÕს დაინთქმები ცოდვათა შინა, ღაღად-ჰყავ უფლისა მიმართ სინანულითა: ღმერთო, განმწმიდე მე, ცოდვილი და შემიწყალე მე უსაზღუროÎთა მოწყალებითა შენითა. ვუწყი, უფალო, რამეთუ შეუძლებელ არს აღვლენაÎ წმიდისა ლოცვისაÎ წყაროÎსაგან მღურიისა, გარნა სულგრძელ ხარ შენ და მრავალმოწყალე, მარადის მყოფი ნათელი ჭეშმარიტი, ყოვლად ძლიერი, შემძლე ყოვლისაÎ, მზე სიმართლისაÎ, განმანათლებელი ყოვლისა სოფლისაÎ, და ჩუენ ცოდვილთაÎ; შენ ხარ დასაბამი დაუსაბამოÎ, შემოქმედი ყოვლისა არსისაÎ. შენ ხარ სიბრძნე, რომელი აღავსებ სიხარულითა გულთა ჩუენთა. შეისმინე ჩემი; ვღაღადებ შენდა მომართ, უფლისა ჩემისა, და შემიწყალე მე. დღესა ამას მხიარულ ქმნილი სასოებითა მოწყალებათა მიმართ შენთა, კადნიერ ვიქმნები თხოვად შენდა: შეისმინე გლოვაÎ სულისა ჩემისაÎ, შენდა მომართ მღაღადებლისაÎ, ღმერთო, მაცხოვარო ჩუენო, შემეწიე განბანად ცოდვილისა სულისა ჩემისა ცრემლთა მიერ სინანულისაÎთა!

კონდაკი 5

იესო, ძეო ღმრთისაო, ღირს მყავ მე შეყუარებად შენდა ყოვლითა გულითა ჩემითა, და ყოვლითა გონებითა ჩემითა, და ყოვლითა სულითა ჩემითა და განმაბრძანე, რაÎთა აღუასრულო ნებაÎ შენი წმიდაÎ თÕნიერ მზაკუარებისა, რაÎთა ლმობიერებითა გიგალობო შენ: ალილუია.

იკოსი 5

ღმერთო მოწყალეო, ღირს მყავ მე გლოვად მწარედ, ცოდვათა გამო ჩემთა; მომეც მე ცრემლნი სინანულისანი, ღმერთო სულგრძელო, შეეხე საარებულსა სულსა ჩემსა, რაÎთა შევინანო უსამართლობანი ჩემნი. თუალთა ჩემთა წარაგეს სიწმინდე ქალწულებრივი და დაფარულ იქმნენ წყლულებათა მიერ ცოდვათა ჩემთა. ღმერთო, შეეხე თუალთა ჩემთა, რაÎთა არა ვიხილო მე ამაობანი ქუეყანისანი, ყურნი ჩემნი მწიკულევან იქმნენ სიმყრალეთა მიერ სიტყუათა კაცობრივთა უგუნურებისათა. მომივლინე მე ანგელოსი მარველი, რაÎთა შეეხოს მათ და წმიდა ჰყოს იგინი, და რათა ვისმინო გმისა შენისა. იტირე, სულო, ჩემო, ცოდვათა გამო, დასასრული ცხორებისაÎ მოახლებულ არს და ჟამი არს სინანულისაÎ. იტირე, იტირე, იგლოვე, და ილოცე, რაÎთა შეისმინოს და შეგიწყალოს შენ ღმერთმან ჩემმან სულგრძელმან და დიდადმოწყალემან. ღმერთო, მაცხოვარო ჩემო, შემეწიე განბანად ცოდვილისა სულისა ჩემისა ცრემლთა მიერ სინანულისაÎთა!

კონდაკი 6

შეცდომილ ვარ მე, ჰოÎ უფალო, და განვეშორე მე გზისაგან ჭეშმარიტისა, და დანთქმულ ვარ ცოდვათა შინა ჩემთა, მომივლინე მე ანგელოსი მფარველი, რაÎთა მიმიძღუეს მე გზასა ცხონებისასა და გიგალობდე სიხარულითა: ალილუია.

იკოსი 6

უფალო, იესო ქრისტე, შენ ხარ მომცემელი ჩუენდა საზრდელისა, სასუმელისა, სამოსელისა, მომცემელი კეთილგანზავებულისა ჰაერისა, უხუებით ნაყოფთა ქუეყანისათა და ჟამთა მშვიდობისათა, ხოლო მე მყოფ ვარ მზაკურებათა შინა და ამპარტავნებასა, არა მომხსენებელი მოწყალებათა ამათ შენთა; არარაÎ მიქმნიეს კეთილი ქუეყანასა ამას ზედა და, მოვჰკუდები რაÎ, არცა რაÎსა წამღები ვარ, თვინიერ საქმეთა ჩემთა ბოროტთა, ხოლო რაოდენი შური, ცილისწამებაÎ, უსამართლობაÎ, ნაყროვანებაÎ, მრუშებაÎ, უდებებაÎ, უსჯულოება და სხუაÎ. და სხუაÎ მრავალი ბოროტი ვქმენ მე ცხორებასა შინა ჩემსა, სადა არიან საქმენი შენნი კეთილნი, ჰოÎ, სულო ჩემო? ღმერთო მაცხოვარო ჩემო, იხილე მწუხარებანი სულისა ჩემისანი და ვითარცა მამამან მიუტევა უძღებსა ძესა თვისსა ეგრეთვე შენცა, მომიტევენ ცოდვანი ჩემნი ნებსითნი და უნებლიეთნი, და ვითარცა მეძავი შეიწყალე და ავაზაკსა უკანასკნელსა ჟამსა მიუტევე, ეგრეთვე მეცა მომიტევენ და შემიწყალე შევრდომილი შენდა ცრემლთა მიერ სინანულისაÎთა, ხილვად ვერ მკადრებელი ხატისა შენისაÎ და მღაღადებელი შენდა ღმერთო, მაცხოვარო ჩემო, შემეწიე მე განბანად ცოდვილისა სულისა ჩემისა ცრემლთა მიერ სინანულისაÎთა!

კონდაკი7

მყოფი უდებებასა შინა და დამვიწყებელი მცნებისა შენისა, რომლითა დღე მეშვიდე ჯერ არს შეწირვად შენდა. არა მავალ ვარ ტაძარსა წმიდასა, რომელსა შინა უხილავად მყოფ ხარ შორის მლოცველთასა, უფალო ღმერთო ჩუენო, ხოლო ჟამსა ლოცვისა ჩემისასა გული ჩემი შორს იყო შენგან. სულმან ბოროტმან დამიბრმნა თუალნი ჩემნი, მწიკულევან მიყო ყურნი, და გული, და მოიცვა გონებაÎ ჩემი, იტირე! სულო ჩემო, ცოდვათა გამო ჩემთა, იტირე!

ღმერთო, უხვო სიყუარილითაო და მრავალმოწყალეო, იხილე მწუხარებაÎ სულისა ჩემისაÎ, და მომიტევე მე ყოველნი ცოდვანი ჩემნი, და განმამტკიცე მე, და განმაბრძანე არა დავიწყებად ყოველთა მოწყალეთა შენთა, და ლოცვად შენდა გულითა წმიდითა ღირს მყავ, და ანგელოზსა მფარველსა ნუ მიმიღებ ჩემგან, რათა დამიცვას მე მანქანებათაგან ბოროტისათა, და ვადიდებდე მე სახელსა წმიდასა შენსა.

იკოსი7

ღმერთო, მაცხოვარო ჩემო, მკურნალო სულისა და ხორცთა ჩემთაო, შენ გვწურთნი ჩუენ, რაÎთა ვინანდეთ ცოდვათა ჩუენთა და განვმტკიცნებოდეთ მოწყალებათა შინა შენთა. მე ვარ ღარიბი და უპოვარი, და ენაÎ ჩემი აღეკრა სასასა ჩემსა, გარნა ისმინე ჩემი, ყოვლადმოწყალეო ღმერთო, და მიხსენ მე განსაცდელთაგან სულისა ბოროტისა, მომიტევენ მე ბოროტებანი გულისა ჩემისანი, რამეთუ მწუხარებანი გულისანი განმიმრავლდნენ, რაÎთა გიღაღადო შენ მსგავსად მეზუერისა: ღმერთო, მოწყალე მექმენ მე, ცოდვილსა. იესო, ძეო ღმრთისაო, განწმიდე და განჰკურნე სნეული სული ჩემი, მღაღადებელ შენდა. ღმერთო, მაცხოვარო ჩემო, შემეწიე მე განბანად ცოდვილისა სულისა ჩემისა ცრემლთა მიერ სინანულისაÎთა!

კონდაკი 8

ჰოÎ, წიაღო მიუწდომელო, სიმდიდრეო სიბრძნისაო და მოწყალებისაო: რაოდენ მიუწდომელ არს, ჰოÎ უფალო, განგებულებაÎ შენი, განმწმიდე ნათლითა მით

ჭეშმარიტებისაÎთა მეცა, სულმოკლე და მცირედმორწმუნე, რაÎთა სიღრმისაგან სულისა ჩემისა გიგალობდე შენ: ალილუია.

იკოსი 8

იესო, სიუხვეო სიყუარილისაო, რომელმან დაითმინე ტანჯუანი ჩუენ ცოდვილთათვის, შემიწყალე მე, რომელმან ჯუარს გაცვი შენ ცოდვათა მიერ ჩემთა. ვუწყი უფალო, მოციქულთა და წინასწარმეტყუელთა ღმრთისათა გვიჩუენეს ჩუენ გზაÎ ცხორებისაÎ. ხოლო მე ვიყავ მზაკურებასა შინა, რომელსა მაქუნდა ყურნი სმენად. არა ვისმინე... შემიწყალე მე, ღმერთო, მრავალგზის მონანული ცოდვათა გამო ჩემთა გზასა ზედა ბოროტსა, იესო, ძეო ღმრთისაო, რომელმან მომმადლენ ჩუენ სიხარული, წმიდათა საიდუმლოთა შენთა თანა ზიარ ყოფისაÎ, მომმადლე მეცა იესო, ძეო ღმრთისაო, შეისმინე ჩემი, მწუხარებასა შინა გულისა ჩემისასა მღაღადებელისა შენდა: ღმერთო, მაცხოვარო ჩემო, შემეწიე განბანად ცოდვილისა სულისა ჩემისა ცრემლთა მიერ სინანულისაÎთა!

კონდაკი 9

უფალო, ღმერთო ჩემო, ვხედავ მე პალატსა შენსა, გარნა არა მაქუს სამოსელი წმიდაÎ, რათა შევიდე მას შინა, განმიხუენ მე კარნი სინანულისანი, ჰოÎ მაცხოვარო ჩემო, და განწმიდე სამოსელი სულისა ჩემისა ცოდვილისა და მიხსენ მე, რათა სინანულისათა გულისა ჩემისათა გიღაღადო შენ: ალილუია.

იკოსი 9

იესო, სიხარულო ჩუენო, შემიწყალე მე; იესო, ძეო ღმრთისაო, რომელმან უჩუენე მოწაფეთა შენთა მთასა ზედა თაბორსა დიდებაÎ შენი, გამოაბრწყინვე ნათელი შენი მიუაჩრდილებელი სულსა შინა ჩემსა. მტილსა შინა გეთსემანიისასა ლოცულობდი მხურვალითა ლოცვითა, იესო ძეო ღმრთისაო, მასწავე მეცა ლოცვად, იესო ძეო ღმრთისაო, მასწავე მეცა ლოცვად შენდა. იესო, ძეო ღმრთისაო, მომმადლე მე სიმდაბლე და სარწმუნოებაÎ წმიდისა მამამთავრისა აბრაამისაÎ. იესო, ძეო ღმრთისაო, შეისმინე ხმაÎ ცოდვილისა მონისა (მხევალისა) შენისაÎ, შენდა მომართ მღაღადებელისაÎ: ღმერთო, მაცხოვარო ჩემო, შემეწიე განბანად ცოდÕილისა სულისა ჩემისა ცრემლთა მიერ სინანულისაÎთა!

კონდაკი 10

იესო, ღმერთო ჩემო, შენ აღადგინე სიკუდილისაგან მართალი ლაზარე, აღმადგინე მეცა უფსკრულთაგან ცოდვათა ჩემთასა. ვითარცა მომკუდარსა ლაზარესა უბრძანე გამოსვლად მღვიმისაგან სიკუდილისა. მიბრძანე მეცა, უფალო, გამოსვლად მღვიმისაგან ცოდვათა და უსჯულოებათა ჩემთასა, რათა გამობრწყინდეს სულსა შინა ჩემსა ნათელი ჭეშმარიტებისაÎ, და გულსა შინა ჩემსა სიხარული, გიღაღადო შენ: ალილუია.

იკოსი 10

იესო, ძეო ღმრთისაო, შენ სულგრძელსა და მრავალ-მოწყალესა შეგცოდე მე, და ბოროტებითა განვვლი ყოველსა ცხორებასა ჩემსა წინაშე შენსა. აწ მტირალი ცოდვათა გამო ჩემთა, ვითარცა წმიდაÎ წინასწარმეტყველი დავითი გიღაღადებ შენ, მიწყალე მე, ღმერთო, დიდითა წყალობითა შენითა და მრავლითა მოწყალებითა შენითა აგოცე უსჯულოებანი ჩემნი. ვუწყი, უფალო, რამეთუ სარწმუნეოებაÎ თÕნიერ საქმეთაგან მკუდარ არს, ხოლო საქმენი კეთილნი არა მაქუს და სული ჩემი სავსე არს მწუხარებითა, გარნა შენ სთქუ, ვითარმედ, ნეტარ არიან მგლოვიარენი, რამეთუ ისინი ნუგეშინისცემულ იქმნენ... ღმერთო მოწყალეო, შემეწიე და მასწავე მე გლოვაÎ ცოდვათა გამო ჩემთა, და ისმინე ჩემი, მღაღადებელისაÎ შენდა: ღმერთო, მაცხოვარო ჩემო, შემეწიე მე განბანად ცოდვილისა სულისა ჩემისა ცრემლთა მიერ სინანულისაÎთა!

კონდაკი 11

უფალო, შენ სთქუ: გიყუარდეთ მტერნი თქუენი, აკურთხევდით მაწყევართა თქუენთა, კეთილსა უყოფდით მოძულეთა თქუენთა, და ილოცვიდეთ მათთÕს რომელნი გმძლავრობენ და გდევნიან თქუენ, რათა იყუნეთ თქვენ ძენი მამისა თქუენისანი, რომელ არს ცათა შინა. ღმერთო, მაცხოვარო ჩემო, შემეწიე, რაÎთა მიყუარდეს მოყუასნი ჩემნი, და ყოველი რაÎცა არს სიბრძნით ქმნული ხელთა მიერ შენთა, და სიღრმისაგან სულისა ჩემისა გიგალობდე დიდებასა: ალილუია.

იკოსი 11

იესო, ძეო ღმრთისაო, მომიტევე მე ყოველი, რაÎცა შეგცოდე სიყრმით ჩემითგან, სიტყვით თუ საქმით, ცნობით თუ უმეცრებით. უფალო, იხსენ კეთილმსახურნი და შეისმინე ჩემიცა მრავალმცოდუელისა და უღირსისა მონისა (მხევლისა) შენისა და ნუ დამაკლებ მე მოწყალებათა შენთა, სახელითა მამისაÎთა, და ძისაÎთა, და სულისა შენისა წმიდისაÎთა. იესო, ნუგეშინისმცემელო, სახიერო, შემიწყალე მე. იესო, სიხარულო ჩემო, შეისმინე ჩემი და განიხაროს გულმან ჩემმან. იესო, ძეო ღმრთისაო, ნუ მიმიღებ ანგელოზსა მფარველსა ჩემგან, და სული შენი წმიდაÎ მომივლინე მე. ღმერთო, რომელი ყოველგან ხარ და ყოველივე ძალგიძს, დააცხრე მწუხარებაÎ ჩემი და შეისმინე ხმაÎ შენდა მომართ მღაღადებლისაÎ: ღმერთო, მაცხოვარო ჩემო, შემეწიე მე განბანად ცოდვილისა სულისა ჩემისა ცრემლთა მიერ სინანულისაÎთა!

კონდაკი 12

დაფლული ცოდვათა შინა ჩემთა შეუერთდები ფერხთა შენთა წმიდათა, უფალო მღაღადებელი შენდა: განმბანე მე ცრემლთა მიერ სინანულისაÎთა და განმწმიდე მე, მომეც მე სიხარული მოწყალებისა შენისაÎ და განდიდნეს გული ჩემი, მრავლითა მიერ ცოდვათაგან შემუსვრილი; გული წმიდაÎ დაჰბადე ჩემთანა, ღმერთო ჩემო, რათა სიხარულითა, სულისა მიერ წმიდისა გიღაღადო შენ, ალილუია.

იკოსი 12

იესო, ძეო ღმრთისაო, მიწყალე მე, რომელმან ორგულებასა და ამპარტავნებასა შინა გულისა ჩემისაÎსა განვვლე ყოველი ცხორებაÎ ჩემი, იესო, ძეო ღმრთისაო,

მიწყალე მე, მომკვლელი, კადნიერებასა შინა ჩემსა. ყოვლისა ნიჭისა, რომელი მომეც მე შობითგან ჩემისა. იესო, სიბრძნეო ჩუენო, შემიწყალე მე, ვერ შემცნობელი სიბრძნის შენისა, რაÎთა გიყუარდე შენ, და აღვიარებდე მცნებათა შენთა ნათესავთა ჩემთა და მოყუასთა ჩემთათვის. ჰოÎ, ვითარითა ცრემლთა მიერ ჩემთა განვიბან ჭირსა და მწუხარებასა გულისა ჩემისასა; ჰოÎ, უფალო, ვითარცა ისმენ შენ ლოცვასა მონანულთა ცოდვილთასა, შეისმინე ჩემიცა, რომელი მწუხარებათა შინა გულისა ჩემისასა ვღაღადებ შენდა: ღმერთო, მცხოვარო ჩემო, შემეწიე მე განბანად ცოდვილისა სულისა ჩემისა ცრემლთა მიერ სინანულისაÎთა!

კონდაკი 13

უფალო ღმერთო ჩემო, მაცხოვარო სულისა ჩემისაო, შენ მომანიჭე მე დასაბამი ცხორებისაÎ, რათა სიხარულითა და წმიდითა გულითა ვყოფდე წმიდასა ნებასა შენსა, გრნა მე სიყრმით ჩემითგან ყოვლითა ცოდვითა გარდავჰხედ გზისაგან ჭეშმარიტისა და ვითარცა ცხოვარი წარწყმედული ვვალ მწუხარებასა შინა. დღესა ამას მგლოვიარითა გულითა შეუვრდები წმიდათა ფერხთა შენთა და გიღაღადებ შენ: ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, შეისმინე და ნუ უგულვებელს-ჰყოფ ლოცვათა ჩემთა და შემინდევ მე უძლურებანი სულისა ჩემისანი; განმაბრძნე, ჰოÎ უფალო, შეცნობად სიბრძნისა შენისა წმიდისა და სარწმუნოებასა შინა შენსა წმიდისა განმამტკიცე მე მცირედმორწმუნე და უკეთური; ღირს მყავ გულისხმისყოფად მცნებათა შენთასა ყოვლითა გულითა, და ყოვლითა სულითა ჩემითა, და თვინიერ ორგულებისა აღვასრულო იგინი, და ვჰყო ნებაÎ შენი წმიდაÎ, ნუ მისდრეკ გულსა ჩემსა სიტყუათა მიმართ და განზრახუათა ბოროტისათა, და განმბრძანე მე ხილვად და არა დავიწყებად. ყოველთა შეცოდებათა ჩემთა, და ყოველთა ნიჭთა შენთა. აკურთხე შრომაÎ ჩემი და მწუხარებანი დაშრომილთა დღეთა ჩემთანი, დაცვად გულისა ჩემისა, და გარდამომივლინე მადლი სულისა შენისა წმიდისაÎ რათა ნუგეშინისცემულ ვიქმნე, და განიმართოს ცოდუათა და მწუხარებათაგან დადრეკილი სული ჩემი, და ლმობიერითა გულითა გიღაღადო შენ: ალილუია.

იკოსი13

სულო ჩემო, იტირე და იგლოვე ცოდვათა გამო, რათა განიბანო ცრემლთა მიერ სინანულისაÎთა შემიწყალე მე, იესო ქრისტე, ღმერთო ჩუენო, რომელი ყოველგან ხარ და ყოველივე ძალგიძს, დიდითა წყალობითა შენითა. მიწყალე მე ღმერთო, მიწყალე მე, რამეთუ შენ ხარ ღმერთი ჩვენი და ჩვენ ერნი შენნი: ალილუია, ალილუია, ალილუია.
(ამას მუხლმოდრეკით ვიტყვით სამგზის, შემდგომ <u>1 იკოსსა</u> და <u>1 კონდაკს</u>).

ლოცვა მუხლმოდრეკით სათქმელი

ღმერთო, მაცხოვარო ჩემო, შენ ხარ წყაროÎ ცხორებისაÎ და უკუდავებისაÎ, შენ შემიყუარენ ჩუენ, უწინარეს ჩემისა არსებად მოყუანებისა დიდითა ღვთაებრივითა სიყუარულითა შენითა. უფალმან ჩვენმან იესო ქრისტემან შესწირა თავი თვისი, თავს იდვა ტანჯუანი ჯუარცმითა და დასთხია სისხლი თვისი წმიდაÎ ცოდვათათვის სოფლისა. ღმერთო, მამაო ჩვენო მოწყალეო, ღირს ჰყავ ყოველნი და მეცა შეცნობად და

არ დავიწყებად საიდულმლოÎსა ამის დიდისა სიყუარულისა შენისა, და მხოლოდშობილისა ძისა შენისა. ჰოÎ, რაოდენგზის შეურაცხ-გყავ და განმამწარე შენ, უფალო ჩემო, საძაგელთაგან საქმეთა და განზრახუათა ჩემთა; ბოროტებათა შინა ჩემთა არა მოვიხსენებდი მოწყალებათა და წყალობათა შენთა ჩემდა მომართ ქმნულთა. მე შთაფლულ ვარ ცოდვათა შინა, ხოლო შენ ყოველსა ჟამსა მომანიჭებ შენსა მოწყალებასა: პურსა, წყალსა, ნაყოფთა, ჰაერსა კეთილშეზავებულსა, სითბოსა და სიხარულსა გულისასა, ხოლო ოდეს შემუსვრილი სული ჩემი აღიწევის შენდა მომართ, ოდეს ცოდვათაგან ვიძლევი მე ვითარცა ღელვათა ზღვისათა, ვისღა შეუვრდე? ჰოÎ უფალო, ვის შევღაღადო? ვისა მიმართ წავმართო მზერაÎ ჩემი და ლოცვაÎ ცოდვათა გამო ჩემთა? უკეთუ არა შენდა მომართ, უფალო ღმერთო ჩემო; კუალად ვეცემი, გარნა ნუ უგულვებელს-ჰყოფ უძლურებათა გამო სულსა ჩემსა მონანულსა, და მარადის ცოდვათა შინა მყოფსა. ჰოÎ, უფალო, უფალო, ვითარითა ცრემლთა მიერ მადლობასა აღგივლენ შენ მოწყალებათა გამო, ვითარსა ქებასა გიგალობ შენ. შენ ხარ ცხორებაÎ ჩემი, სიხარული და მარადის სიყუარული ჩემი, ხოლო ოდეს განგეშორები შენ, ბნელი მომიცავს მე, და მწუხარებაÎ სიკუდილისა მიმწევნელი აღავსებს გულსა ჩემსა, და მწუხარებს სული ჩემი. ღმერთო, მაცხოვარო ჩემო! იესო, ძეო ღმრთისაო, ღირს მყავ კუალადვე შეცნობად წმიდისა შენისა სიყუარულისა და გარდამომივლინე მე მადლი სულისა შენისა წმიდისაÎ, რათა დამადგინოს მე მცირედმორწმუნე და სულმოკლე გზასა ზედა ცხონებისასა: მასწავლე მე, ცოდვილსა, სიმდაბლითა და სიყუარულითა ქმნად ნებისა შენისა, და დასწვი ცეცხლსა შინა სულგრძელებისასა ბორიტნი განზრახუანი ჩემნი, და ვითარცა რკინაÎ ბრძმედსა შინა გამოახურვე გული ჩემი, და განაახლე, და განწმიდე იგი ცოდუათაგან ჩემთა, რაÎთა სიხარულითა გიგალობო შენ: ალილუია, ალილუია, ალილუია.